ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი

დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2024 წლის 10 აპრილის 01-24/123 ბრძანებით

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი

მუხლი 1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტი

1.1. ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (შემდგომში უნივერსიტეტი) მოქმედი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი.

1.2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი (შემდგომში სამაგისტრო ნაშრომი).

1.3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენით და დაცვით (პრეზენტაცია და დისკუსია).

1.4. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და მისი დაცვის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს შერჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, მიღწეული სწავლის შედეგების წარმოჩენისა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით საკუთარი მსჯელობის არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.

1.5. სამაგისტრო ნაშრომი არის სტუდენტის ინდივიდუალური, დამოუკიდებელი, ორიგინალური კვლევა/ნაშრომი, პასუხისმგებლობა მისი შესრულებისას აკადემიური და კვლევითი კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვაზე ეკისრება სტუდენტს.

1.6. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის პროექტში/პროსპექტუსში და ნაშრომში ლიტერატურის ციტირება უნდა შესრულდეს აპა 7-ს (APA 7) ან ჩიკაგოს (Chicago Style) სტილის მიხედვით. გადაწყვეტილება, თუ რომელი სტილი უნდა იყოს გამოყენებული კონკრეტულ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, მიიღება შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭოს მიერ.

მუხლი 2. კვლევით კომპონენტზე დაშვების წინაპირობა

2.1 მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო კვლევით კომპონენტის შესრულება შეუძლიათ მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 3. სამაგისტრო ნაშრომის სათაურის და ხელმძღვანელის რეგისტრაცია

3.1. სამაგისტრო ნაშრომის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაცია წარმოებს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან/კოორდინატორთან.

3.2. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკისა და ხელმძღვანელის შერჩევა, უნდა განხორციელდეს მეოთხე/შესაბამისი სემესტრის დაწყებიდან არაუმეტეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან/კოორდინატორთან შეთანხმებით.

3.3. სამაგისტრო ნაშრომის სათაურის რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის თემატიკისა და ხელმძღვანელის შერჩევიდან არაუმეტეს 7 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.4. სამაგისტრო ნაშრომის სათაური სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან შეთანხმებით შესაძლოა შეიცვალოს შემდგომი მუშაობის პერიოდში, რის შესახებაც უნდა ეცნობოს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს.

3.5. სამაგისტრო ნაშრომის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაციის შემდეგ სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან კონსულტაციით იწყებს სამაგისტრო ნაშრომის პროექტზე/პროსპექტუსზე მუშაობას.

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის გადატანა

4.1 სტუდენტს უფლება აქვს პირადი განცხადების საფუძველზე გადაიტანოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვა შემდეგ სემესტრში/სემესტრებში უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების შესაბამისად.

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი

5.1 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც უდასტურდება სტუდენტის მიერ შერჩეულ სამაგისტრო ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის განხორციელების გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.

5.2 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია სტუდენტს მისცეს მიმართულება და გაუწიოს კონსულტაცია სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინთან, კვლევის მეთოდოლოგიასთან და კვლევითი პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებით, ასევე დააკვირდეს სტუდენტის კვლევითი პროექტის განხორციელებას და მისცეს უკუკავშირი სამაგისტრო ნაშრომის გაუმჯობესების მიზნით. (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დამატებითი უფლება-მოვალეობები დგინდება მასთან გასაფორმებელი ხელშეკრულებით).

5.3 საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს შეიძლება ჰყავდეს კონსულტანტი, რომელიც არის დარგის ექსპერტი ან/და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი და უდასტურდება სტუდენტის მიერ შერჩეულ სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებით შესაბამისი ცოდნა/გამოცდილება.

5.4 წინამდებარე მუხლის 5.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კონსულტანტი იდენტიფიცირდება, როგორც სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი.

5.5 სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელს არჩევს სტუდენტი შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან შეთანხმებით.

5.6 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა და თანახელმძღვანელმა კოორდინებულად უნდა იმუშაონ სამაგისტრო ნაშრომის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

5.7 წინამდებარე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ერთი და იმავე პირს უფლება აქვს ერთდროულად ხელმძღვანელობა გაუწიოს არაუმეტეს 5 (ხუთ) სამაგისტრო ნაშრომს, ხოლო თანახელმძღვანელობის შემთხვევაში არაუმეტეს 8 (რვა) სამაგისტრო ნაშრომს.

5.8 სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროგრესიის პერიოდული განმავითარებელი შეფასების მიზნით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი აფასებს სტუდენტის მუშაობას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების დანათი N 20 შესაბამისად.

5.9 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ წინამდებარე მუხლის 5.8 პუნქტით გათვალისწინებული დანართის მიხედვით სტუდენტის განმავითარებელი შეფასება უნდა განხორციელდეს მას შემდეგ, რაც სტუდენტი წინამდებარე წესის შესაბამისად ჩააბარებს სამაგისტრო ნაშრომის პროექტს/პროსპექტუსს.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის პროექტი/პროსპექტუსი და მისი გაფორმება

6.1 სამაგისტრო ნაშრომის პროექტი/პროსპექტუსი წარმოადგენს სტუდენტის მიერ განსახორციელებელი კვლევის წინასწარ შემუშავებულ გეგმას, რომელსაც სტუდენტი შესაფასებლად წარადგენს დარგობრივ კომისიასთან.

6.2 სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის დაცვა წარმოადგენს სტუდენტის პროგრესიის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობას.

6.3 სამაგისტრო ნაშრომის სათაურის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღის ვადაში სტუდენტი ვალდებულია შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს წარუდგინოს სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი.

6.4 დასრულებულ სამაგისტრო კვლევის პროექტს/პროსპექტუსს თან უნდა ერთოდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, რომ იგი გაეცნო სამაგისტრო კვლევის პროექტს/პროსპექტუსს და ნაშრომი მზად არის დარგობრივ კომისიაზე წარსადგენად.

6.5 სამაგისტრო ნაშრომის პროექტი/პროსპექტუსი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდზე. ძირითადი ტექსტი დაბეჭდილი უნდა იყოს მხოლოდ ერთ გვერდზე.

6.6 სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის ფორმატირებისას გამოყენებული უნდა იყოს შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა -12, თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი, მაგრამ არაუმეტეს -14-ისა. ძირითადი ტექსტის სტრიქონებს შორის დაცული უნდა იყოს 1,5 ინტერვალით დაშორება. ძირითადი ტექსტი გასწორებული უნდა იყოს როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეს (layout – paragraph – Alignment – left/right).

6.7 სამაგისტრო ნაშრომის პროექტში/პროსპექტუსში ველები დაცული უნდა იყოს შემდეგი წესით, მარცხენა მხარეს 3 სმ., ზედა მხარეს 2 სმ., მარჯვენა მხარეს 1,5 სმ. და ქვედა მხარეს 2 სმ.

6.8 სამაგისტრო ნაშრომის პროექტი/პროსპექტუსი ინომრება არაბული ციფრებით, ქვედა მხარეს შუაში. გვერდები ინომრება იმავე შრიფტით ზომა - 12. შესავალი გვერდები არ ინომრება.
6.9 სამაგისტრო ნაშრომის პროექტში/პროსპექტუსში ყველა თავისა და ქვეთავის დასახელება წარმოდგენილი უნდა იყოს სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან. თავებისა და ქვეთავების ნუმერაციის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რომაული ციფრები.
6.10 სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის პირველ გვერდზე მითითებული უნდა იყოს უნივერსიტეტის დასახელება და ლოგო, სამაგისტრო ნაშრომის სათაური, სტუდენტის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელების სახელი/სახელები და გვარი/გვარები, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, რომლისთვისაც შესრულებულია სამაგისტრო ნაშრომის პროექტი/პროსპექტუსი, შესრულების წელი და ადგილი.
6.11 სამაგისტრო ნაშრომის პროექტი/პროსპექტუსი სავალდებულო სახით უნდა ითვალისწინებდეს წინამდებარე წესის დანართი 1, 2 და 3 გათვალისწინებულ კომპონენტებს.
6.12 შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი ადმინისტრაცია სამაგისტრო ნაშრომების პროექტების/პროსპექტუსების ჩაბარებისთვის დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ ადგენს სამაგისტრო ნაშრომების პროექტების/პროსპექტუსების დაცვის თარიღს.
6.13 შესაბამისი სკოლების აკადემიური საბჭოები სამაგისტრო ნაშრომების პროექტების/პროსპექტუსების შეფასების მიზნით მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განსაზღვრავენ დარგობრივი კომისებს. დარგობრივი კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისგან და სავალდებულო წესით უნდა დაკომპლექტდეს შემდეგი წევრებით: პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალის წარმომადგენელ(ებ)ი, ასევე შესაძლებელია კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ შესაბამისი დარგის სხვა ექსპერტებიც.
6.14 დარგობრივი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დარგობრივი კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. დარგობრივი კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, დარგობრივი კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბარი რაოდენობით გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეს. იმ შემთხვევაში თუ, პროგრამის ხელმძღვანელი ვერ იღებს მონაწილეობას დარგობრივი კომისიის საქმიანობაში დარგობრივი კომისიას ხელმძღვანელობს მის მიერ განსაზღვრული პირი.
6.15 იმ შემთხვევაში თუ, დარგობრივი კომისიის წევრი ამავდროულად არის სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, ის მონაწილეობას არ იღებს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის შეფასების პროცესში.
6.16 დარგობრივი კომისიის მიერ სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომების პროექტების/პროსპექტუსების შეფასების პროცესს სასურველია ესწრებოდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, რომელიც მონაწილეობას არ იღებს შეფასების პროცესში.
6.17 შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციის მიერ სამაგისტრო ნაშრომების პროექტების/პროსპექტუსების დაცვისთვის დადგენილ დღეს, სტუდენტი ვალდებულია

სამაგისტრო ნაშრომის პროექტი/პროსპექტუსი პრეზენტაციის სახით წარადგინოს დარგობრივი კომისიის წინაშე, წარმოაჩინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და არგუმენტირებულად უპასუხოს დარგობრივი კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

6.18 დარგობრივი კომისია წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის გაცნობის, პრეზენტაციისა და კითხვა-პასუხის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის მოწონების ან არ მოწონების შესახებ.

6.19 სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის მოწონების შემთხვევაში, სტუდენტი აგრძელებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას. იმ შემთხვევაში, თუ დარგობრივი კომისიის მიერ არ იქნება მოწონებული სამაგისტრო ნაშრომის პროექტი/პროსპექტუსი, სტუდენტს ეძლევა არაუმეტეს 10 სამუშაო დღე, რა დროშიც იგი ვალდებულია შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს წარუდგინოს გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის პროექტი/პროსპექტუსი.

6.20 სტუდენტის მიერ გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის წარდგენის შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი დარგობრივი კომისიის წევრებთან შეთანხმებით განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის ხელახლა დაცვის თარიღს.

6.21 დარგობრივი კომისია წინამდებარე მუხლის 6.14 და 6.18 პუნქტით გათვალისწინებით ხელახლა აფასებს სტუდენტის გადამუშავებულ სამაგისტრო ნაშრომის პროექტს/პროსპექტუსს და იღებს გადაწყვეტილებას მისი მოწონების ან არ მოწონების შესახებ.

6.22 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი წინამდებარე მუხლის 6.19 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგენს გადამუშავებულ სამაგისტრო ნაშრომის პროექტს/პროსპექტუსს, არ გამოცხადდება სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის დაცვაზე ან დარგობრივი კომისია განმეორებით არ მოიწონებს მის მიერ გადამუშავებულ სამაგისტრო ნაშრომის პროექტს/პროსპექტუსს, იგი კარგავს მიმდინარე სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის დაცვის უფლებას.

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომისთვის გათვალისწინებული მოთხოვნები

7.1 სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები (დეტალური სტრუქტურა, მოცულობა, ფორმატი, სტილი, შეფასების კრიტერიუმები და სხვა ტექნიკური მონაცემები) განისაზღვრება წინამდებარე წესის შესაბამის დანართებში საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით (იხ. დანართი 1, 2 და 3).

7.2 სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება უნდა განხორციელდეს წინამდებარე წესის მე-6 მუხლის 6.5-6.10 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა

8.1 შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით თითოეული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განისაზღვრება ვადა, რომელშიც სტუდენტმა შესაბამისი პროგრამის კოორდინატორს უნდა წარუდგინოს დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი.

8.2 სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად, ბეჭდური (აკინძული) ფორმით. სამაგისტრო ნაშრომი ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული (PDF)ფორმით .
8.3 სამაგისტრო ნაშრომთან ერთად სტუდენტმა შესაბამისი პროგრამის კოორდინატორს უნდა წარუდგინოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, რომლითაც უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო სამაგისტრო ნაშრომის დასრულებულ ვერსიას და მიაჩნია, რომ სამაგისტრო ნაშრომი მზად არის ან მზად არ არის დასკვნით შეფასებაზე წარსადგენად.
8.4 იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნით დგინდება, რომ სამაგისტრო ნაშრომი მზად არ არის დასკვნით შეფასებაზე წარსადგენად, სტუდენტი კარგავს მიმდინარე სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის დაცვის უფლებას.
8.5 პლაგიატის თავიდან არიდებისა და ციტირების სტანდარტების დაცვის მიზნით, სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის თითოეულ ეტაპზე უნდა იხელმძღვანელოს ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტთა ინსტრუქციით პლაგიატის თავიდან არიდების შესახებ.
8.6 დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით მოწმდება პლაგიატზე. სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის დაუდასტურებლობის შემთხვევაში ის გადაეცემა რეცენზენტს შესაფასებლად.
8.7 სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის უფლებას მიმდინარე სემესტრში და მასზე ვრცელდება უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობა.

მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება

9.1 შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭოს მიერ, დასრულებული სამაგისტრო ნაშრომების წარმოსადგენად განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან, არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრავს რეცენზენტს, რომელსაც გადაეცემა სამაგისტრო ნაშრომი შესაფასებლად.

9.2 სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირების მიზანია მისი კვლევითი ღირებულების ობიექტური შეფასება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.
9.3 სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალი ან შესაბამისი დარგის ექსპერტი, რომელსაც გააჩნია სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ/მომიჯნავე სამეცნიერო სფეროში კვლევის ან პრაქტიკული გამოცდილება.
9.4 სამაგისტრო ნაშრომის მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რეცენზენტებისთვის სამაგისტრო ნაშრომის იმ ფორმით გადაცემას, რომ მისთვის უცნობი იყოს სტუდენტის და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ვინაობა. ასევე, სტუდენტისთვის უცნობი უნდა იყოს რეცენზენტების ვინაობა.

9.5 რეცენზენტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობები და დგინდება ვადა, რომელშიც რეცენზენტმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი დასკვნა სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით.

9.6 რეცენზენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მას შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი აწვდის სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს.

9.7 რეცენზენტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომის მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, თუ მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით სხვა ვადა არ არის დადგენილი, წინასწარ განსაზღვრული ფორმის და კრიტერიუმების შესაბამისად შეაფასოს სამაგისტრო ნაშრომი და შეფასება მიაწოდოს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს.

9.8 შესაბამისი პროგრამის კოორდინატორი რეცენზენტისგან მიღებულ შეფასება, სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე გონივრულ ვადაში უნდა მიაწოდოს სტუდენტს.

მუხლი 10. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღის და კომისიის შემადგენლობის განსაზღვრა

10.1 პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობის შესახებ, გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო.

10.2 სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან, მის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ: პროგრამის ხელმძღვანელი და სამაგისტრო პროგრამის ან მომიჯნავე დარგის აკადემიური/მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები, ასევე მის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ შესაბამისი/მომიჯნავე დარგის ექსპერტები, რომლებსაც უდასტურდებათ დარგში კვლევის ან/და პრაქტიკული გამოცდილება.

10.3 სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიას ხელმძღვანელობას უწევს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი ან სკოლის აკადემიურ საბჭოს მიერ განსაზღვრული სხვა პირი.

10.4 სტუდენტებს, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღისა და კომისიის შემადგენლობის შესახებ, ინფორმაციას აწვდის შესაბამისი პროგრამის კოორდინატორი.

10.5 სტუდენტს უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, დეკანის სახელზე დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე მოითხოვოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრის/წევრების აცილება.

10.6 იმ შემთხვევაში თუ, სტუდენტის წერილობით განცხადება მოკლებულია დასაბუთებას, შესაბამისი სკოლის დეკანი უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს და განუსაზღვროს ვადა (არაუმეტეს 2 სამუშაო დღისა) წერილობით დაასაბუთოს, თუ რატომ ითხოვს სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრის/წევრების აცილებას. დადგენილ ვადაში სტუდენტის მიერ დასაბუთებული განცხადების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დეკანი უფლებამოსილია, უარი თქვას წარმოდგენილი წერილობითი განცხადების დაკმაყოფილებაზე, ასეთ შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია რჩება უცვლელი.

10.7 შესაბამისი სკოლის დეკანი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად არაუმეტეს 5 კალენდარული დღის ვადაში განიხილავს წარმოდგენილ განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას წარმოდგენილი განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

10.8 წინამდებარე მუხლის 10.5 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევებში, სკოლის დეკანი აცილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის ახალ წევრს/წევრებს.

10.9 იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სკოლის დეკანი დააკმაყოფილებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრის აცილების მოთხოვნას, ამავდროულად კომისიის წევრთა რაოდენობა აცილებული პირის გამოკლებთ არ იქნება 5-ზე ნაკლები, შესაძლებელია სკოლის დეკანმა არ განსაზღვროს კომისიის ახალი წევრი და კომისიის არსებულმა შემადგენლობამ, აცილებული პირის გარეშე შეაფასოს სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომი.

10.11 სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობის განსაზღვრიდან არაუმეტეს 5 კალენდარული დღის ვადაში შესაბამისი პროგრამის კოორდინატორი უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომების ელექტრონული ვერსიების გაგზავნას კომისიის წევრებისათვის.

10.12 აკადემიური საბჭო უფლებამოსილია შესაბამისი სკოლის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით კონკრეტულ სასწავლო წელს დაადგინოს წინამდებარე წესის მე-3 მუხლის 3.2; 3.3 პუნქტებით, მე-6 მუხლის 6.3 და 6.19 პუნქტებით, მე-9 მუხლი 9.1 პუნქტით, მე-10 მუხლის 10.11 გათვალისწინებული ვადების განსხვავებული თარიღები.

მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

11.1 სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

11.2 სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესს სასურველია ესწრებოდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. თუ, იგი საპატიო მიზეზით ვერ ესწრება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომას, მან აღნიშნულის შესახებ წინასწარ უნდა შეატყობინოს პროგრამის ხელმძღვანელს.

11.3 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი რომელსაც დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი წინამდებარე წესის გათვალისწინებით წარდგენილი აქვს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორისთვის და დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე, ან კომისიის კვორუმი არ შედგა, ან სამაგისტრო ნაშრომის დაცვა არ შედგა სტუდენტისგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზების გამო, სამაგისტრო ნაშრომის კომისიის გადაწყვეტილებით ინიშნება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის განახლებული თარიღი.

11.4 სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მსვლელობისას თითოეულმა სტუდენტმა პრეზენტაციის სახით ინდივიდუალურად უნდა წარმოაჩინოს მის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები და არგუმენტირებულად უპასუხოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების კითხვებს. თითოეული სამაგისტრო ნაშრომის დაცვა როგორც წესი არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს.

11.5 სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციისას სტუდენტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა (რომელიც შესაძლებელია მოიცავდეს სლაიდებს, პოსტერებს, ვიდეო-კინო ჩვენებას და სხვა). პრეზენტაციის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს.

11.6 სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ გამართული კითხვა-პასუხის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს.

11.7 სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის ხელმძღვანელის წინასწარი თანხმობის გარეშე, დაუშვებელია სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესის ფოტო-ვიდეო გადაღება და აუდიო ჩანაწერის გაკეთება. წინამდებარე პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია არ დაუშვას სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე.

11.8 სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები, წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის, პრეზენტაციის და სტუდენტის მიერ კითხვებზე გაცემული პასუხის საფუძველზე, ინდივიდუალურად წინასწარ განსაზღვრული ფორმისა და კრიტერიუმების შესაბამისად, აფასებენ სამაგისტრო ნაშრომს.

11.9 სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად განხორციელებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულის (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე) გამოანგარიშების საფუძველზე.

მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

12.1. სამაგისტრო ნაშრომი, შესაბამისი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამისთვის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით.

12.2. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

12.3. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება მოიცავს წინამდებარე წესის შესაბამისად რეცენზენტის შეფასებას და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ განხორციელებულ შეფასებას.

12.4. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისათვის გამოყენებული კრიტერიუმები, ასევე შეფასებაში სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიისა და რეცენზენტის შეფასების ხვედრითი წილი განისაზღვრება წინამდებარე წესის შესაბამის დანართებში (იხ. დანართი 1, 2, და 3).

12.5. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა:

12.5.1 შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

12.5.2. ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა.

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები.

12.6 სამაგისტრო ნაშრომში წინამდებარე მუხლის 12.5.2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო 12.5.2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

მუხლი 13. სამაგისტრო ნაშრომში მიღებული შეფასების გასაჩივრება

13.1 სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს სამაგისტრო ნაშრომში მიღებული შეფასება, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების შესაბამისად.

დანართი N1

საჯარო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, გარემოს დაცვის მენეჯმენტი, საზოგადოებრივი ურთიერთობების, გამოყენებითი ფსიქოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნები

სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- სატიტულო გვერდი (თანმიმდევრულად და ცენტრირებულად უნდა მიეთითოს: უნივერსიტეტის დასახელება, სკოლის დასახელება, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, უნივერსიტეტის ლოგო, სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის სათაური, ავტორის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელის სახელი და გვარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის შესრულების წელი და ქალაქი; უნივერსიტეტის დასახელება და სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის სათაური უნდა შესრულდეს - შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა -14, სატიტულო გვერდზე სხვა ჩანაწერები უნდა შესრულდეს შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა - 12; უნივერსიტეტის დასახელება, სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის სათაური, ავტორის სახელი და გვარი, წელი და ქალაქი უნდა მიეთითოს გამუქებულად; სატიტულო გვერდზე სხვა ჩანაწერები უნდა მიეთითოს გამუქების გარეშე);
- სარჩევი;
- აბრევიატურების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში);
- ტერმინთა განმარტება (საჭიროების შემთხვევაში);
- კვლევის აქტუალურობა, სიახლე და მნიშვნელობა;
- კვლევის მიზანი და კვლევის კითხვა;
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- კვლევის მეთოდოლოგია - მეთოდები, კვლევის ტექნიკური აღწერა და კვლევის შეზღუდვები;
- კვლევის განხორციელების გეგმა;
- წინასწარი ბიბლიოგრაფია.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომის უცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- სატიტულო გვერდი (თანმიმდევრულად და ცენტრირებულად უნდა მიეთითოს: უნივერსიტეტის დასახელება, სკოლის დასახელება, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, უნივერსიტეტის ლოგო, სამაგისტრო ნაშრომის სათაური, ავტორის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელის სახელი და გვარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იმ კვალიფიკაციის დასახელება საფეხურის მითითებით, რომლის მოსაპოვებლადაც შესრულებულია სამაგისტრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წელი და ქალაქი; უნივერსიტეტის დასახელება და სამაგისტრო ნაშრომის სათაური უნდა მიეთითოს - შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა - 14, სატიტულო გვერდზე სხვა ჩანაწერები უნდა მიეთითოს შრიფტი - Sylfaen,

შრიფტის ზომა - 12; უნივერსიტეტის დასახელება, სამაგისტრო ნაშრომის სათაური, ავტორის სახელი და გვარი, წელი და ქალაქი უნდა მიეთითოს გამუქებულად; სატიტულო გვერდზე სხვა ჩანაწერები უნდა მიეთითოს გამუქების გარეშე);

- სტუდენტის განაცხადი - რომლის მიხედვითაც, სტუდენტი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ავტორის ინდივიდუალური კვლევის შედეგს და მასში დაცული არის კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტები;
- რეზიუმე/აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- აბრევიატურების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში);
- ტერმინთა განმარტება (საჭიროების შემთხვევაში);
- შესავალი (კვლევის აქტუალურობა, სიახლე და საჭიროება; კვლევის მიზანი);
- ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო;
- კვლევის მეთოდოლოგია (კვლევის შეკითხვა, მეთოდები, კვლევის ტექნიკური აღწერა და კვლევის შეზღუდვები);
- კვლევის შედეგების აღწერა;
- კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია;
- დასკვნა;
- ბიბლიოგრაფია;
- დანართები.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება: სამაგისტრო ნაშრომს ფასდება ერთჯერადად, რეცენზენტისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ 100 ქულიანი შეფასების საფუძველზე. ხვედრითი წონები გადანაწილებულია შემდეგნაირად: რეცენზენტის შეფასება - 50%, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასება - 50% (კომისიის შეფასება გამოანგარიშდება საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე).

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები (რეცენზენტისთვის)

1	20 ქულა	20-18	17-15	14-12	11-9	8-6	5-3	2-0
	საკვლევი პრობლემის აქტუალობა, ფოკუსირებულობა და სიცხადე, თემის ორიგინალურობა	დარგისთვის რელევანტური საკვლევი პრობლემის აქტუალობა ნათლად და არგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული, ნაშრომის ფოკუსი ნათლად განსაზღვრულია, შერჩეული სამაგისტრო თემა გამოირჩევა ორიგინალურობის მაღალი ხარისხით.	დარგისთვის რელევანტური საკვლევი პრობლემის აქტუალობა ძირითად ნათლად და არგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული, ნაშრომის ფოკუსი ძირითადად ნათლად განსაზღვრულია, შერჩეული სამაგისტრო თემა გამოირჩევა ორიგინალურობით.	დარგისთვის რელევანტური საკვლევი პრობლემის აქტუალობა მეტწილად ნათლად და არგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული, ნაშრომის ფოკუსი მეტწილად ნათლად განსაზღვრულია, შერჩეული სამაგისტრო თემა ძირითადად ხასიათდება ორიგინალურობით.	დარგისთვის რელევანტური საკვლევი პრობლემის აქტუალობა მეტნაკლებად არგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული, ნაშრომის ფოკუსი ნაწილობრივ განსაზღვრულია, შერჩეული სამაგისტრო თემა ნაკლებად ხასიათდება ორიგინალურობით.	დარგისთვის რელევანტური საკვლევი პრობლემის აქტუალობა არ არის ცხადად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბებული, ნაშრომის ფოკუსი სუსტად არის განსაზღვრული, შერჩეული სამაგისტრო თემა არ ხასიათდება ორიგინალურობით.	დარგისთვის რელევანტური საკვლევი პრობლემა ბუნდოვანია, ნაშრომის ფოკუსი სუსტად არის განსაზღვრული, შერჩეული სამაგისტრო თემა არ ხასიათდება ორიგინალურობით.	საკვლევი პრობლემა სუსტად ან საერთო არ არის განსაზღვრული, ნაშრომის ფოკუსი არ არის წარმოდგენილი.
2	20 ქულა	20-18	17-15	14-12	11-9	8-6	5-3	2-0
	ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩოს რელევანტურობა	ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო საკვლევ საკითხთან სრულ შესაბამისობაშია და დაკავშირებულია რელევანტურ, მათ შორის, უახლეს ლიტერატურასთან.	ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო საკვლევ საკითხთან მეტწილად შესაბამისობაშია და დაკავშირებულია რელევანტურ, მათ შორის, უახლეს ლიტერატურასთან.	ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო საკვლევ საკითხთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია და დაკავშირებულია რელევანტურ ლიტერატურასთან.	ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო საკვლევ საკითხთან ნაკლებ შესაბამისობაშია და დაკავშირებულია შეზღუდული რაოდენობის რელევანტურ ლიტერატურასთან.	ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო საკვლევ საკითხთან სუსტ შესაბამისობაშია და თითქმის არ არის გამყარებული რელევანტური ლიტერატურით.	ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო არის ბუნდოვანი და არ არის გამყარებული შესაბამისი ლიტერატურით.	თეორიული ჩარჩო/ლიტერატურის მიმოხილვა სუსტად ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი.
3	20 ქულა	20-18	17-15	14-12	11-9	8-6	5-3	2-0
	ნაშრომი მეთოდოლოგიური გამართულობა და განხორციელებული კვლევის სრულყოფილება	კვლევის ძირითადი კითხვა/ქვე-კითხვები ეფექტურადაა ფორმულირებული, შესაბამისი ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაციის დონე მაღალია, შერჩეული მეთოდი/ები მაღალი რელევანტურობით	კვლევის ძირითადი კითხვა/ქვეკითხვები მეტწილად გამართულადაა ფორმულირებული, შესაბამისი ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაციის დონე მაღალია, შერჩეული მეთოდი/ები რელევანტურობით გამოირჩევა, კვლევის	კვლევის ძირითადი კითხვა/ქვეკითხვები მეტნაკლებად გამართულადაა ფორმულირებულია, შესაბამისი ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაციის დონე მეტნაკლებად რელევანტურია. კვლევის ტექნიკური აღწერა და	კვლევის ძირითადი კითხვა/ქვეკითხვები ნაკლებად გამართულადაა ფორმულირებული, შესაბამისი ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაციის დონე ნაკლებად რელევანტურია.	კვლევის ძირითადი კითხვა/ქვეკითხვები სუსტად ფორმულირებულია, შესაბამისი ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაციის დონე სუსტია. კვლევის ტექნიკური აღწერა და კვლევის შეზღუდვები არასრულად არის	კვლევის ძირითადი კითხვა/ქვეკითხვებს ფორმულირება, შესაბამისი ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაციის დონე ბუნდოვანია. კვლევის ტექნიკური აღწერა და კვლევის შეზღუდვები	ნაშრომის მეთოდოლოგიური მხარე გაუმართავია ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი.

		გამოირჩევა, კვლევის ტექნიკური აღწერა და კვლევის შეზღუდვები სრულყოფილადაა წარმოდგენილი. კვლევის პროცესში გამოყენებული შერჩევა დასაბუთებულია, სრულყოფილი და გამჭვირვალეა. კვლევა განხორციელებულია რელევანტური მეთოდ(ებ)ის საშუალებით, დაცულია კვლევის განხორციელების ეთიკური სტანდარტები.	ტექნიკური აღწერა და კვლევის შეზღუდვები მეტწილადაა წარმოდგენილი. კვლევის პროცესში გამოყენებული შერჩევა დასაბუთებული და გამჭვირვალეა. კვლევა მეტწილად რელევანტური მეთოდ(ებ)ის საშუალებითაა განხორციელებული, დაცულია კვლევის განხორციელების ეთიკური სტანდარტები.	კვლევის შეზღუდვები გაწერილია. კვლევის პროცესში გამოყენებული შერჩევა დასაბუთებულია, თუმცა არასრულყოფილია და ნაკლებად გამჭვირვალე. კვლევა მეტნაკლებად რელევანტური მეთოდ(ებ)ის საშუალებითაა განხორციელებული და დაცულია ეთიკური სტანდარტები.	კვლევის ტექნიკური აღწერა და კვლევის შეზღუდვები არასრულადაა გაწერილი. კვლევის პროცესში გამოყენებული შერჩევა ნაკლებად დასაბუთებულია. კვლევა ნაკლებად განხორციელებულია რელევანტური მეთოდ(ებ)ის საშუალებით. თუმცა, დაცულია ეთიკური სტანდარტები.	გაწერილი. კვლევის პროცესში გამოყენებული შერჩევა არაა დასაბუთებული. კვლევაში გამოყენებული შესაბამისი მეთოდ(ებ)ი ბუნდოვანია. კვლევის განხორციელების ეთიკური სტანდარტები თითქმის არ არის დაცული.	არასრულად არის გაწერილი. კვლევის განხორციელების მეთოდოლოგიური და ეთიკური სტანდარტები თითქმის არ არის დაცული.	
4	20 ქულა	20-18	17-15	14-12	11-9	8-6	5-3	2-0
	კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და წარმოდგენილი დასკვნების დასაბუთების დონე	კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და მათი ინტერპრეტაცია პასუხობს კვლევის მიზნებს, ნათლად და თანმიმდევრულადაა აღწერილი/ გაანალიზებული და დადასტურებულია შესაბამისი ვალიდური მონაცემებით, მსჯელობა გამორჩევა მაღალი ობიექტურობითა და კრიტიკული ანალიზის დონით.	კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და მათი ინტერპრეტაცია მეტწილად პასუხობს კვლევის მიზნებს, თანმიმდევრულადაა აღწერილი/გაანალიზებული და დადასტურებულია შესაბამისი ვალიდური მონაცემებით. მსჯელობა გამორჩევა ობიექტურობით და კრიტიკული ანალიზის დონით.	კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და მათი ინტერპრეტაცია მეტნაკლებად პასუხობს კვლევის მიზნებს, თანმიმდევრულადაა აღწერილი/გაანალიზებული და დადასტურებულია შესაბამისი ვალიდური მონაცემებით. მსჯელობა მეტნაკლებად ობიექტური და კრიტიკულია.	კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და მათი ინტერპრეტაცია მეტნაკლებად პასუხობს კვლევის მიზნებს, ნაკლებად არის დადასტურებული შესაბამისი ვალიდური მონაცემები. მსჯელობა ნაკლებად ობიექტური და კრიტიკულია.	კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და მათი ინტერპრეტაცია ნაკლებად შეესაბამება კვლევის მიზნებს, არ არის თანმიმდევრულად აღწერილი/გაანალიზებული. მსჯელობა მოკლებულია ობიექტურობას, კრიტიკული ანალიზის დონე დაბალია.	მიღებული შედეგები და მათი ინტერპრეტაცია თითქმის არ შეესაბამება კვლევის მიზნებს, არ არის თანმიმდევრულად აღწერილი/გაანალიზებული. მსჯელობის ობიექტურობა და კრიტიკულობა არ დასტურდება.	კვლევაში მიღებული შედეგები თითქმის არ პასუხობს ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი კვლევის მიზნებთან შესაბამისობაში.
5	20 ქულა	20-18	17-15	14-12	11-9	8-6	5-3	2-0
	ნაშრომის სტრუქტურული გამართულობა, თანმიმდევრუ	ნაშრომი ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და მისი თითოეული ნაწილი კავშირშია ერთმანეთთან, მსჯელობა	ნაშრომი მეტწილად ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და მისი თითოეული ნაწილი კავშირია ერთმანეთთან, მსჯელობა გამართული და	ნაშრომი მეტნაკლებად ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და მისი თითოეული ნაწილი კავშირშია ერთმანეთთან, მსჯელობა გამართული	ნაშრომი სუსტად არის სტრუქტურირებული. ნაშრომის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთთან სუსტად არის დაკავშირებული.	ნაშრომის სტრუქტურა და მისი შემადგენელი ნაწილების ერთმანეთთან	ნაშრომის სტრუქტურა არ არის გამართული, ნაშრომის შემადგენელი ნაწილების	ნაშრომი თითქმის ან საერთოდ არ არის სტრუქტურირებული.

	ლოგა და აკადემიური სტილი	სრულყოფილად გამართული და თამნიმდევრულია, წერის სტილი მაღალ აკადემიურ დონეს შეესაბამება და თითოეული რელევანტური წყარო მითითებულია ციტირების შესაბამისი სტანდარტების დაცვით.	თანმიმდევრულია, წერის სტილი მეტწილად აკადემიურია და თითოეული წყარო მითითებულია ციტირების შესაბამისი სტანდარტების დაცვით.	და თანმიმდევრულია. წერის სტილი მეტნაკლებად აკადემიურია და წყაროები მითითებულია ციტირების შესაბამისი სტანდარტების დაცვით.	მსჯელობა სუსტია და ნაკლებად არის გამართული და თანმიმდევრული. წერის სტილი ნაკლებად აკადემიურია. თუმცა, ციტირების შესაბამისი სტანდარტები ძირითადად დაცულია.	შესაბამისობა ბუნდოვანია. მსჯელობა სუსტია და არ არის თანმიმდევრული. წერის სტილი ნაკლებად აკადემიურია. თუმცა, ციტირების შესაბამისი სტანდარტები ნაწილობრივ დაცულია.	ერთმანეთთან კავშირი სუსტია. მსჯელობა ბუნდოვანია. წერის სტილი ნაკლებად აკადემიურია და ციტირების შესაბამისი სტანდარტები ნაკლებად დაცულია.	წერის სტილი არააკადემიურია და ციტირების შესაბამისი სტანდარტები ძირითადად დარღვეულია.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები (სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია)

1	20 ქულა	20-18	17-15	14-12	11-9	8-6	5-3	2-0
	საკვლევი პრობლემის აქტუალობა, ფოკუსირებულობა და სიცხადე, თემის ორიგინალურობა	დარგისთვის რელევანტური საკვლევი პრობლემის აქტუალობა ნათლად და არგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული, ნაშრომის ფოკუსი ნათლად განსაზღვრულია, შერჩეული სამაგისტრო თემა გამოირჩევა ორიგინალურობის მაღალი ხარისხით.	დარგისთვის რელევანტური საკვლევი პრობლემის აქტუალობა ძირითად ნათლად და არგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული, ნაშრომის ფოკუსი ძირითადად ნათლად განსაზღვრულია, შერჩეული სამაგისტრო თემა გამოირჩევა ორიგინალურობით.	დარგისთვის რელევანტური საკვლევი პრობლემის აქტუალობა მეტწილად ნათლად და არგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული, ნაშრომის ფოკუსი მეტწილად ნათლად განსაზღვრულია, შერჩეული სამაგისტრო თემა ძირითადად ხასიათდება ორიგინალურობით.	დარგისთვის რელევანტური საკვლევი პრობლემის აქტუალობა მეტნაკლებად არგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული, ნაშრომის ფოკუსი ნაწილობრივ განსაზღვრულია, შერჩეული სამაგისტრო თემა ნაკლებად ხასიათდება ორიგინალურობით.	დარგისთვის რელევანტური საკვლევი პრობლემის აქტუალობა არ არის ცხადად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბებული, ნაშრომის ფოკუსი სუსტად არის განსაზღვრული, შერჩეული სამაგისტრო თემა არ ხასიათდება ორიგინალურობით.	დარგისთვის რელევანტური საკვლევი პრობლემა ბუნდოვანია, ნაშრომის ფოკუსი სუსტად არის განსაზღვრული, შერჩეული სამაგისტრო თემა არ ხასიათდება ორიგინალურობით.	საკვლევი პრობლემა სუსტად ან საერთო არ არის განსაზღვრული, ნაშრომის ფოკუსი არ არის წარმოდგენილი.
2	15 ქულა	15-14	13-11	10-9	8-7	6-5	4-3	2-0
	ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩოს რელევანტურობა	ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო საკვლევ საკითხთან სრულ შესაბამისობაშია და დაკავშირებულია რელევანტურ, მათ შორის, უახლეს ლიტერატურასთან.	ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო საკვლევ საკითხთან მეტწილად შესაბამისობაშია და დაკავშირებულია რელევანტურ, მათ შორის, უახლეს ლიტერატურასთან.	ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო საკვლევ საკითხთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია და დაკავშირებულია რელევანტურ ლიტერატურასთან.	ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო საკვლევ საკითხთან ნაკლებ შესაბამისობაშია და დაკავშირებულია შეზღუდული რაოდენობის რელევანტურ ლიტერატურასთან.	ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო საკვლევ საკითხთან სუსტ შესაბამისობაშია და თითქმის არ არის გამყარებული რელევანტური ლიტერატურით.	ლიტერატურის მიმოხილვა/თეორიული ჩარჩო არის ბუნდოვანი და არ არის გამყარებული შესაბამისი ლიტერატურით.	თეორიული ჩარჩო/ლიტერატურის მიმოხილვა სუსტად ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი.
3	20 ქულა	20-18	17-15	14-12	11-9	8-6	5-3	2-0
	ნაშრომი მეთოდოლოგიური გამართულობა და განხორციელებული კვლევის სრულყოფილება	კვლევის ძირითადი კითხვა/ქვე-კითხვები ეფექტურადაა ფორმულირებული, შესაბამისი ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაციის დონე მაღალია, შერჩეული მეთოდი/ები მაღალი რელევანტურობით	კვლევის ძირითადი კითხვა/ქვეკითხვები მეტწილად გამართულადაა ფორმულირებული, შესაბამისი ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაციის დონე მაღალია, შერჩეული მეთოდი/ები რელევანტურობით გამოირჩევა, კვლევის	კვლევის ძირითადი კითხვა/ქვეკითხვები მეტნაკლებად გამართულადაა ფორმულირებულია, შესაბამისი ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაციის დონე მეტნაკლებად რელევანტურია. კვლევის ტექნიკური აღწერა და	კვლევის ძირითადი კითხვა/ქვეკითხვები ნაკლებად გამართულადაა ფორმულირებული, შესაბამისი ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაციის დონე ნაკლებად რელევანტურია.	კვლევის ძირითადი კითხვა/ქვეკითხვები სუსტად ფორმულირებულია, შესაბამისი ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაციის დონე სუსტია. კვლევის ტექნიკური აღწერა და კვლევის შეზღუდვები არასრულად არის	კვლევის ძირითადი კითხვა/ქვეკითხვებს ფორმულირება, შესაბამისი ცვლადები და მათი ოპერაციონალიზაციის დონე ბუნდოვანია. კვლევის ტექნიკური აღწერა და კვლევის შეზღუდვები	ნაშრომის მეთოდოლოგიური მხარე გაუმართავია ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი.

		გამოირჩევა, კვლევის ტექნიკური აღწერა და კვლევის შეზღუდვები სრულყოფილადაა წარმოდგენილი. კვლევის პროცესში გამოყენებული შერჩევა დასაბუთებულია, სრულყოფილი და გამჭვირვალეა. კვლევა განხორციელებულია რელევანტური მეთოდ(ებ)ის საშუალებით, დაცულია კვლევის განხორციელების ეთიკური სტანდარტები.	ტექნიკური აღწერა და კვლევის შეზღუდვები მეტწილადაა წარმოდგენილი. კვლევის პროცესში გამოყენებული შერჩევა დასაბუთებული და გამჭვირვალეა. კვლევა მეტწილად რელევანტური მეთოდ(ებ)ის საშუალებითაა განხორციელებული, დაცულია კვლევის განხორციელების ეთიკური სტანდარტები.	კვლევის შეზღუდვები გაწერილია. კვლევის პროცესში გამოყენებული შერჩევა დასაბუთებულია, თუმცა არასრულყოფილია და ნაკლებად გამჭვირვალე. კვლევა მეტნაკლებად რელევანტური მეთოდ(ებ)ის საშუალებითაა განხორციელებული და დაცულია ეთიკური სტანდარტები.	კვლევის ტექნიკური აღწერა და კვლევის შეზღუდვები არასრულადაა გაწერილი. კვლევის პროცესში გამოყენებული შერჩევა ნაკლებად დასაბუთებულია. კვლევა ნაკლებად განხორციელებულია რელევანტური მეთოდ(ებ)ის საშუალებით. თუმცა, დაცულია ეთიკური სტანდარტები.	გაწერილი. კვლევის პროცესში გამოყენებული შერჩევა არაა დასაბუთებული. კვლევაში გამოყენებული შესაბამისი მეთოდ(ებ)ი ბუნდოვანია. კვლევის განხორციელების ეთიკური სტანდარტები თითქმის არ არის დაცული.	არასრულად არის გაწერილი. კვლევის განხორციელების მეთოდოლოგიური და ეთიკური სტანდარტები თითქმის არ არის დაცული.	
4	20 ქულა	20-18	17-15	14-12	11-9	8-6	5-3	2-0
	კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და წარმოდგენილი დასკვნების დასაბუთების დონე	კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და მათი ინტერპრეტაცია პასუხობს კვლევის მიზნებს, ნათლად და თანმიმდევრულადაა აღწერილი/ გაანალიზებული და დადასტურებულია შესაბამისი ვალიდური მონაცემებით, მსჯელობა გამორჩევა მაღალი ობიექტურობითა და კრიტიკული ანალიზის დონით.	კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და მათი ინტერპრეტაცია მეტწილად პასუხობს კვლევის მიზნებს, თანმიმდევრულადაა აღწერილი/გაანალიზებული და დადასტურებულია შესაბამისი ვალიდური მონაცემებით. მსჯელობა გამოირჩევა ობიექტურობით და კრიტიკული ანალიზის დონით.	კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და მათი ინტერპრეტაცია მეტნაკლებად პასუხობს კვლევის მიზნებს, თანმიმდევრულადაა აღწერილი/გაანალიზებული და დადასტურებულია შესაბამისი ვალიდური მონაცემებით. მსჯელობა მეტნაკლებად ობიექტური და კრიტიკულია.	კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და მათი ინტერპრეტაცია მეტნაკლებად პასუხობს კვლევის მიზნებს, ნაკლებად არის დადასტურებული შესაბამისი ვალიდური მონაცემებით. მსჯელობა ნაკლებად ობიექტური და კრიტიკულია.	კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და მათი ინტერპრეტაცია ნაკლებად შეესაბამება კვლევის მიზნებს, არ არის თანმიმდევრულად აღწერილი/გაანალიზებული. მსჯელობის ობიექტურობა და კრიტიკულობა არ დასტურდება.	მიღებული შედეგები და მათი ინტერპრეტაცია თითქმის არ შეესაბამება კვლევის მიზნებს, არ არის თანმიმდევრულად აღწერილი/გაანალიზებული. მსჯელობა მოკლებულია ობიექტურობას, კრიტიკული ანალიზის დონე დაბალია.	კვლევაში მიღებული შედეგები თითქმის არ პასუხობს ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი კვლევის მიზნებთან შესაბამისობაში.
5	15 ქულა	15-14	13-11	10-9	8-7	6-5	4-2	1-0
	ნაშრომის სტრუქტურული გამართულობა, თანმიმდევრუ	ნაშრომი ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და მისი თითოეული ნაწილი კავშირშია ერთმანეთთან, მსჯელობა	ნაშრომი მეტწილად ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და მისი თითოეული ნაწილი კავშირია ერთმანეთთან, მსჯელობა გამართული და	ნაშრომი მეტნაკლებად ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და მისი თითოეული ნაწილი კავშირშია ერთმანეთთან, მსჯელობა გამართული	ნაშრომი სუსტად არის სტრუქტურირებული. ნაშრომის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთთან სუსტად არის დაკავშირებული.	ნაშრომის სტრუქტურა და მისი შემადგენელი ნაწილების ერთმანეთთან	ნაშრომის სტრუქტურა არ არის გამართული, ნაშრომის შემადგენელი ნაწილების	ნაშრომი თითქმის ან საერთოდ არ არის სტრუქტურირებული.

	ლობა და აკადემიური სტილი	სრულყოფილად გამართული და თანმიმდევრულია, წერის სტილი მაღალ აკადემიურ დონეს შეესაბამება და თითოეული რელევანტური წყარო მითითებულია ციტირების შესაბამისი სტანდარტების დაცვით.	თანმიმდევრულია, წერის სტილი მეტწილად აკადემიურია და თითოეული წყარო მითითებულია ციტირების შესაბამისი სტანდარტების დაცვით.	და თანმიმდევრულია. წერის სტილი მეტნაკლებად აკადემიურია და წყაროები მითითებულია ციტირების შესაბამისი სტანდარტების დაცვით.	მსჯელობა სუსტია და ნაკლებად არის გამართული და თანმიმდევრული. წერის სტილი ნაკლებად აკადემიურია. თუმცა, ციტირების შესაბამისი სტანდარტები ძირითადად დაცულია.	შესაბამისობა ბუნდოვანია. მსჯელობა სუსტია და არ არის თანმიმდევრული. წერის სტილი ნაკლებად აკადემიურია. თუმცა, ციტირების შესაბამისი სტანდარტები ნაწილობრივ დაცულია.	ერთმანეთთან კავშირი სუსტია. მსჯელობა ბუნდოვანია. წერის სტილი ნაკლებად აკადემიურია და ციტირების შესაბამისი სტანდარტები ნაკლებად დაცულია.	წერის სტილი არააკადემიური და ციტირების შესაბამისი სტანდარტები ძირითადად დარღვეულია.
6	10 ქულა	10	9-8	7-6	5-4	3-2	2-1	0
	ზეპირი პრეზენტაცია	პრეზენტაციის ვიზუალური მხარე და სტრუქტურა გასაგები და მარტივად აღქმადია. საკითხის გადმოცემისა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა. კვლევის ფარგლებში შესრულებული სამუშაო სრულყოფილადაა წარმოდგენილი. მსჯელობა გამართული და გასაგებია. აუდიტორიის შეკითხვებზე პასუხი არგუმენტირებული და სრულყოფილია.	პრეზენტაციის ვიზუალური მხარე და სტრუქტურა მეტწილად გასაგები და მარტივად აღქმადია. საკითხის გადმოცემისა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი მეტწილად ეფექტურია. კვლევის ფარგლებში შესრულებული სამუშაო ძირითადად წარმოდგენილია. მსჯელობა გამართული და გასაგებია. კითხვებზე პასუხი მეტწილად არგუმენტირებულია.	პრეზენტაციის ვიზუალური მხარე და სტრუქტურა მეტნაკლებად გასაგები და მარტივად აღქმადია. საკითხის გადმოცემისა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი მეტნაკლებად ეფექტურია. კვლევის ფარგლებში შესრულებული სამუშაო მეტნაკლებად არის წარმოდგენილია. მსჯელობა და კითხვებზე პასუხი მეტნაკლებად არგუმენტირებულია.	პრეზენტაციის ვიზუალური მხარე და სტრუქტურა ნაკლებად გასაგები და აღქმადია. საკითხის გადმოცემისა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი ნაწილობრივ ეფექტურია. კვლევის ფარგლებში შესრულებული სამუშაო ნაკლებად არის წარმოდგენილი. მსჯელობა და კითხვებზე პასუხი მეტნაკლებად არგუმენტირებულია.	პრეზენტაციის ვიზუალური მხარე და სტრუქტურა სუსტად აღიქმება. საკითხის გადმოცემისა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი სუსტია. კვლევის ფარგლებში შესრულებული სამუშაო ნაკლებად არის წარმოდგენილი. მსჯელობა არ არის გამართული და შეკითხვებზე პასუხი ნაკლებად არგუმენტირებულია.	პრეზენტაციის ვიზუალური მხარე და სტრუქტურა არ არის აღქმადი. საკითხის გადმოცემისა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი არაეფექტურია. კვლევის ფარგლებში შესრულებული სამუშაო არასრულყოფილად არის წარმოდგენილი. მსჯელობა ბუნდოვანია და შეკითხვებზე პასუხი არ დასტურდება.	პრეზენტაცია საერთოდ არ არის წარმოდგენილი ან სრულად არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს.

დანართი N2

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნები

სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის/სტრუქტურა:
სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- სატიტულო გვერდი (თანმიმდევრულად და ცენტრირებულად უნდა მიეთითოს: უნივერსიტეტის დასახელება, სკოლის დასახელება, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, უნივერსიტეტის ლოგო, სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის სათაური, ავტორის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელის სახელი და გვარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის შესრულების წელი და ქალაქი; უნივერსიტეტის დასახელება და სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის სათაური უნდა შესრულდეს - შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა -14, სატიტულო გვერდზე სხვა ჩანაწერები უნდა შესრულდეს შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა - 12; უნივერსიტეტის დასახელება, სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის სათაური, ავტორის სახელი და გვარი, წელი და ქალაქი უნდა მიეთითოს გამუქებულად; სატიტულო გვერდზე სხვა ჩანაწერები უნდა მიეთითოს გამუქების გარეშე);
- კვლევის ფარგლებში შერჩეული ბიზნესის შესახებ მოკლე ინფორმაცია (100-250 სიტყვა);
- თემის აქტუალობა - დასაბუთება, თუ რატომ არის აღნიშნული ბიზნესი საკვლევად საინტერესო;
- ნაშრომის სტრუქტურა - ბიზნეს დოკუმენტის სარჩევი;
- ნაშრომის თითოეული პუნქტის/ელემენტის მნიშვნელობის დასაბუთება და მოკლე მიმოხილვა (80-150 სიტყვა);
- დროითი ჰორიზონტი - პერიოდი, რომლითაც მოცულია ბიზნეს გეგმა შესაბამისი დასაბუთებით;
- ჩასატარებელი სამუშაოების განხორციელების გეგმა და აღწერა - მაგისტრანტის მიერ კვლევის პროცესში დაგეგმილი და გამოსაყენებლად შერჩეული ინსტრუმენტების განხილვა (150-250 სიტყვა);
- ნაშრომის გრაფიკი;
- წინასწარი ბიბლიოგრაფია.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა:
სამაგისტრო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- სატიტულო გვერდი (თანმიმდევრულად და ცენტრირებულად უნდა მიეთითოს: უნივერსიტეტის დასახელება, სკოლის დასახელება, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, უნივერსიტეტის ლოგო, სამაგისტრო ნაშრომის სათაური, ავტორის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელის სახელი და გვარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იმ კვალიფიკაციის დასახელება საფეხურის მითითებით, რომლის მოსაპოვებლადაც შესრულებულია სამაგისტრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წელი და ქალაქი; უნივერსიტეტის დასახელება და სამაგისტრო ნაშრომის სათაური უნდა მიეთითოს - შრიფტი - Sylfaen,

შრიფტის ზომა - 14, სატიტულო გვერდზე სხვა ჩანაწერები უნდა მიეთითოს შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა - 12; უნივერსიტეტის დასახელება, სამაგისტრო ნაშრომის სათაური, ავტორის სახელი და გვარი, წელი და ქალაქი უნდა მიეთითოს გამუქებულად; სატიტულო გვერდზე სხვა ჩანაწერები უნდა მიეთითოს გამუქების გარეშე);

- სტუდენტის განაცხადი - რომლის მიხედვითაც, სტუდენტი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ავტორის ინდივიდუალური კვლევის შედეგს და მასში დაცული არის კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტები;
- რეზიუმე/აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე (80-150 სიტყვა);
- სარჩევი;
- ტერმინთა განმარტება და/ან აბრევიატურების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში);
- ნაშრომის მიმოხილვა - ე.წ. „Executive Summary" (400-450 სიტყვა - მაქსიმუმ 2 გვერდი);
- გეგმის მიზანი და საკვლევი თემის აქტუალობა;
- „კომპანია დღეს" და მისი დღევანდელი ღირებულება;
- არჩეული კომპანიის დარგის ანალიზი და განვითარების პერსპექტივები;
- კომპანიის განვითარების სტრატეგია;
- ბიზნესის ღირებულების ზრდის ინიციატივები;
- ფინანსური გეგმა - ღირებულების ზრდა;
- ბიზნესიდან გასვლის გეგმა;
- დასკვნა;
- ბიბლიოგრაფია;
- დანართები.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება: სამაგისტრო ნაშრომს ფასდება ერთჯერადად, რეცენზენტისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ 100 ქულიანი შეფასების საფუძველზე. ხვედრითი წონები გადანაწილებულია შემდეგნაირად: რეცენზენტის შეფასება - 60%, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასება - 40% (კომისიის შეფასება გამოანგარიშდება საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე).

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ფორმა

25 ქულა	4-0 ქულა	9-5 ქულა	15-10 ქულა	20-16 ქულა	25 -21 ქულა
მიმდინარე სიტუაციის მიმოხილვა	ავტორი სუსტად ან არ აღწერს მიმდინარე სიტუაციას, ბაზრის მდგომარეობას, სტრატეგიას, მომავლის გეგმებს, ფინანსურ პროგნოზებს და მათი ურთიერთკავშირს. სუსუტად ან საერთოდ ვერ პასუხობს კითხვებს. საკუთარი და კონკურენტების ძლიერი და სუსტი მხარეების სუსტი მიმოხილვაა; შეზღუდული ინფორმაციაა მოწოდებული ეფექტურობის თაობაზე.	ავტორი ნაწილობრივ არგუმენტირებულად მიმოიხილავს მიმდინარე სიტუაციას, ბაზრის მდგომარეობას, სტრატეგიას, მომავლის გეგმებს, ფინანსურ პროგნოზებსა და მათ ურთიერთკავშირს. ავტორი ნაკლებად მსჯელობს რთულ საკითხებზე, ძირითადად ახდენს საკუთარი შეხედულებების არგუმენტირებულ წარმოდგენას და გამოხატავს აზრს ფართო საკითხებზე კონკურენციის, ძლიერი და სუსტი მხარეების სიღრმისეული შეჯამებით. ავტორის სტრატეგია და ტაქტიკა ნაკლებად ფარავს მეტწილ მათგანს; შედეგები ძირითადად კარგადაა მიმოხილული, თუმცა ავტორი აქცენტს აკეთებს მხოლოდ კარგზე და ფარავს ცუდს.	ავტორი მეტწილად არგუმენტირებულად მიმოიხილავს მიმდინარე სიტუაციას, ბაზრის მდგომარეობას, სტრატეგიას, მომავლის გეგმებს, ფინანსურ პროგნოზებსა და მათ ურთიერთკავშირს. ავტორი მეტწილად კარგად მსჯელობს რთულ საკითხებზე, ძირითადად ახდენს საკუთარი შეხედულებების არგუმენტირებულ წარმოდგენას და გამოხატავს აზრს ფართო საკითხებზე კონკურენციის, ძლიერი და სუსტი მხარეების სიღრმისეული შეჯამებით. ავტორის სტრატეგია და ტაქტიკა ფარავს მეტწილ მათგანს, მაგრამ არა ყველას; შედეგები ძირითადად კარგადაა მიმოხილული, თუმცა ავტორი აქცენტს აკეთებს მხოლოდ კარგზე და ფარავს ცუდს.	ავტორი კარგად აღწერს მიმდინარე სიტუაციას ბაზრის მდგომარეობას, სტრატეგიას, მომავლის გეგმებს, ფინანსურს პროგნოზებსა და მათ ურთიერთკავშირს. ავტორი კარგად მსჯელობს რთულ საკითხებზე, ძირითადად ახდენს საკუთარი შეხედულებების არგუმენტირებულ წარმოდგენას და გამოხატავს აზრს ფართო საკითხებზე კონკურენციის, ძლიერი და სუსტი მხარეების სიღრმისეული შეჯამებით. ავტორის სტრატეგია და ტაქტიკა ფარავს ზოგიერთ მათგანს, მაგრამ არა ყველას. შედეგების კარგი მიმოხილვაა, თუმცა ავტორი აქცენტს აკეთებს მხოლოდ კარგზე და ფარავს ცუდს.	ავტორი სრულყოფილად აღწერს მიმდინარე სიტუაციას, ბაზრის მდგომარეობას, სტრატეგიას, მომავლის გეგმებს, ფინანსურ პროგნოზებსა და მათ ურთიერთკავშირს. ავტორი დამაჯერებლად მსჯელობს რთულ საკითხებზე, ახდენს საკუთარი შეხედულებების არგუმენტირებულ წარმოდგენას და გამოხატავს აზრს ფართო საკითხებზე კონკურენციის, ძლიერი და სუსტი მხარეების სიღრმისეული შეჯამებით. ავტორის სტრატეგია და ტაქტიკა ფარავს ყველა მათგანს; შედეგების კარგი მიმოხილვაა, კარგისა და ცუდის დაბალანსებული წარდგენით.
30 ქულა	**4-0 ქულა**	**10-5 ქულა**	**17-11 ქულა**	**23-18 ქულა**	**30-24 ქულა**
სტრატეგიის სიძლიერე	დასტურდება შეზღუდული სტრატეგიული აზროვნება. ავტორმა მოახდინა მიზნების, სტრატეგიებისა და ტაქტიკების იდენტიფიცირება, თუმცა მათ შორის კავშირები არ არის	დასტურდება ბიზნესის „ნაკლებად ნათელი„ სტრატეგია. არანათელი მიზნები. ტაქტიკების ნაწილი დაკავშირებულია მიზნებთან, თუმცა არასრულად ფარავს სტრატეგიებს. საკვანძო ტაქტიკები არ არის წარმოდგენილი ან სუსტადაა გადმოცემული.	დასტურდება ბიზნესის „ მეტწილად ნათელი“ სტრატეგია. კონკრეტული მიზნები. ტაქტიკები გამომდინარეობს სტრატეგიებიდან და მიზნებიდან.	დასტურდება ბიზნესის „ნათელი“ სტრატეგია. კონკრეტული მიზნები. ტაქტიკები გამომდინარეობს სტრატეგიებიდან და მიზნებიდან.	დასტურდება ბიზნესის „ნათელი“ სტრატეგია. კონკრეტული მიზნები. ტაქტიკები გამომდინარეობს სტრატეგიებიდან და მიზნებიდან. ავტორმა წარმოაჩინა ინოვაციური მიდგომა.

	ნათლად განვითარებული, ტაქტიკები არაინტეგრირებული და არასინერგიულია.				
20 ქულა	4-0 ქულა	9-5 ქულა	13-10 ქულა	17-14 ქულა	20-18 ქულა
ბიზნეს გამჭრიახობა და მართვის ინსტრუმენტების გამოყენება	ავტორი იყენებს ბიზნეს კონცეფციებისა და პრინციპების მცირე რაოდენობა, ბიზნეს აზროვნება შეზღუდულია ავტორს ანალიზის გასაძლიერებლად მონაცემები არ აქვს წარმოდგენილი.	ავტორმა გამოიყენა სხვადასხვა ბიზნეს კონცეფციები და პრინციპები. თუმცა, ბიზნეს აზროვნება და ხედვა შეზღუდულია, ავტორს ანალიზის გასაძლიერებლად მონაცემები არასაკმარისადა აქვს წარმოდგენილი.	ავტორი მეტწილად კარგად იყენებს ბიზნეს კონცეფციებს, პრინციპებსა და ბიზნეს აზროვნებას საკუთარ ანალიზსა და გეგმასთან დაკავშირებულ საკითხზე არგუმენტირებისას. ავტორს ანალიზის გასაძლიერებლად მონაცემები წარმოდგენილი აქვს, თუმცა ნაკლებად იყენებს მათ არგუმენტირებისათვის.	ავტორი კარგად იყენებს ბიზნეს კონცეფციებს, პრინციპებსა და ბიზნეს აზროვნებას საკუთარ ანალიზსა და გეგმასთან დაკავშირებულ საკითხზე არგუმენტირებისას. ავტორს ანალიზის გასაძლიერებლად მონაცემები წარმოდგენილი აქვს, თუმცა სრულყოფილად არ იყენებს მათ არგუმენტირებისათვის.	ავტორი თავისუფლად იყენებს ბიზნეს კონცეფციებს, პრინციპებსა და ბიზნეს აზროვნებას საკუთარ ანალიზსა და გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებზე არგუმენტირებისას. ავტორს ანალიზის გასაძლიერებლად მონაცემები წარმოდგენილი აქვს და ახდენს სრულყოფილ არგუმენტირებას მათზე დაყრდნობით.
15 ქულა	2-0 ქულა	6-3 ქულა	10-7 ქულა	13-11 ქულა	15-14 ქულა
ნაშრომის სტრუქტურული გამართულობა, თანმიმდევრულობა და აკადემიურ/პროფესიული სტილი	ნაშრომის სტრუქტურა და მისი შემადგენელი ნაწილების ერთმანეთთან შესაბამისობა ბუნდოვანია. მსჯელობა სუსტია და არ არის თანმიმდევრული. წერის სტილი ნაკლებად აკადემიური და პროფესიონალურია და ციტირების შესაბამისი სტანდარტები ძირითადად არა დაცული.	ნაშრომი მეტნაკლებად ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და მისი თითოეული ნაწილი კავშირშია ერთმანეთთან, მსჯელობა გამართული და თანმიმდევრულია. წერის სტილი მეტნაკლებად აკადემიური და პროფესიონალურია და წყაროები მითითებულია ციტირების შესაბამისი სტანდარტების დაცვით.	ნაშრომი მეტწილად ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და მისი თითოეული ნაწილი კავშირია ერთმანეთთან, მსჯელობა გამართული და თანმიმდევრულია, წერის სტილი მეტწილად აკადემიური და პროფესიონალურია. თითოეული წყარო მითითებულია ციტირების შესაბამისი სტანდარტების დაცვით.	ნაშრომი ძირითადად ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და მისი თითოეული ნაწილი კავშირშია ერთმანეთთან, მსჯელობა გამართული და თანმიმდევრულია, წერის სტილი ძირითადად აკადემიურ და პროფესიონალურ დონეს შეესაბამება და თითოეული რელევანტური წყარო მითითებულია ციტირების შესაბამისი სტანდარტების დაცვით.	ნაშრომი ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და მისი თითოეული ნაწილი კავშირშია ერთმანეთთან, მსჯელობა სრულყოფილად გამართული და თანმიმდევრულია, წერის სტილი მაღალ აკადემიურ და პროფესიონალურ დონეს შეესაბამება და თითოეული რელევანტური წყარო მითითებულია ციტირების შესაბამისი სტანდარტების დაცვით.

10 ქულა[1]	3-0 ქულა	5-4 ქულა	7-6 ქულა	8-7 ქულა	10-9 ქულა
ზეპირი პრეზენტაცია	პრეზენტაციის ვიზუალური მხარე და სტრუქტურა სუსტად აღიქმება. საკითხის გადმოცემისა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი სუსტია. კვლევის ფარგლებში შესრულებული სამუშაო ნაკლებად არის წარმოდგენილი. მსჯელობა არ არის გამართული და შეკითხვებზე პასუხი არაარგუმენტირებულია.	პრეზენტაციის ვიზუალური მხარე და სტრუქტურა მეტნაკლებად გასაგები და მარტივად აღქმადია. საკითხის გადმოცემისა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი მეტნაკლებად ეფექტურია. კვლევის ფარგლებში შესრულებული სამუშაო მეტნაკლებად დამაკმაყოფილებლად არის წარმოდგენილი. მსჯელობა და კითხვებზე პასუხი მეტნაკლებად არგუმენტირებულია.	პრეზენტაციის ვიზუალური მხარე და სტრუქტურა მეტწილად გასაგები და მარტივად აღქმადია. საკითხის გადმოცემისა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი მეტწილად ეფექტურია. კვლევის ფარგლებში შესრულებული სამუშაო გამართულადაა წარმოდგენილი. მსჯელობა გამართული და გასაგებია. შეკითხვებზე პასუხი მეტწილად არგუმენტირებულია.	პრეზენტაციის ვიზუალური მხარე და სტრუქტურა ძირითად გასაგები და მარტივად აღქმადია. საკითხის გადმოცემისა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი მეტწილად ეფექტურია. კვლევის ფარგლებში შესრულებული სამუშაო მეტწილად სრულყოფილადაა წარმოდგენილი. მსჯელობა გამართული და გასაგებია. შეკითხვებზე პასუხი ძირითადად არგუმენტირებულია.	პრეზენტაციის ვიზუალური მხარე და სტრუქტურა გასაგები და მარტივად აღქმადია. საკითხის გადმოცემისა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა. კვლევის ფარგლებში შესრულებული სამუშაო სრულყოფილადაა წარმოდგენილი. მსჯელობა გამართული და გასაგებია. აუდიტორიის შეკითხვებზე პასუხი არგუმენტირებული და სრულყოფილია.

[1] სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის მხრიდან შეფასების შემთხვევაში ზეპირი ზერეზენტაციის ხვდერითი წილი (10 ქულა), თანაბრად გადანაწილდება დანარჩენ შეფასების კრიტერიუმებზე და დაემატება ბოლო სვეტის/უმაღლესი შეფასების შესაბამის ქულებს.

დანართი N3

მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნები

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის აღწერა:
სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი აერთიანებს სტუდენტის პრაქტიკულ უნარებსა და თეორიულ ცოდნას და წარმოადგენს პრაქტიკული და თეორიული ნამუშევრების სინთეზს. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი ნაშრომი შედგება ორი კომპონენტისგან:

1) **სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეპტუალური განაცხადი:** სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეპტუალური განაცხადი ეფუძნება აკადემიური წერის ზოგად პრინციპებს. ის მოიცავს 4000-5000 სიტყვას. სამაგისტრო ნაშრომის კონცეპტუალური განაცხადის თემა დაკავშირებული უნდა იყოს სტუდენტის მიერ შერჩეულ ახალ პრაქტიკულ კომპონენტთან. სამაგისტრო ნაშრომის კონცეპტუალურ განაცხადში სტუდენტმა უნდა წარმოაჩინოს რელევანტურ, თემატურ საკითხზე უკვე არსებული და/ან ახალი მოსაზრებები აკადემიურ წყაროებზე დაყრდნობით; კონცეპტუალურად გამოიყენოს დამოუკიდებლად მოკვლეული და ორიგინალური მონაცემები. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეპტუალური განაცხადი ასევე მოიცავს ინფორმაციას სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში მომზადებული ნამუშევრების მეთოდოლოგიის შესახებ.

2) **სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის პრაქტიკული კომპონენტი - პორტფოლიო და ორიგინალური (ახალი)პრაქტიკული პროექტი:** სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში ვალდებულია არა მხოლოდ გააერთიანოს მის მიერ შექმნილი პრაქტიკული ნამუშევრები, არამედ შეარჩიოს შესაბამისი პლათფორმა და ასევე, კონცეფცია, თუ როგორ გააერთიანებს და წარმოადგენს ამ ნამუშევრებს ვებ სივრცეში.

პორტფოლიო - სტუდენტი შემოქმედებითი კონცეფციის ქვეშ აერთიანებს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის დროს შექმნილ არანაკლებ ექვს პრაქტიკულ ნამუშევარს და ორიგინალურ (ახალ) პრაქტიკულ პროექტს; ნამუშევრებს სტუდენტი წარმოადგენს ვებ სივრცეში ციფრული თხრობის ხერხების გამოყენებით. პორთფოლიოს კონცეფცია სიღრმისეულად უნდა იყოს გააზრებული და ასევე უნდა შეიცავდეს სტუდენტის შემოქმედებით/პროფესიულ ბიოგრაფიას.

სწავლის პროცესში შექმნილი ექვსი პრაქტიკული ნამუშევრის სავალდებულო ფორმატებია:
- სიღრმისეული სტატია;
- ფოტო ისტორია - მულტიმედია ამბავი;
- მულტიმედია ამბავი;
- ვიდეო რეპორტაჟი ან მოკლე დოკუმენტური ფილმი;
- რადიო რეპორტაჟი;
- ჟურნალისტური სტარტაპის არაფინანსური ბიზნეს გეგმა.

პორთფოლიოს შეფასება ხორციელდება მისი კონცეპტუალური მხარის გათვალისწინებით და არა აღნიშნული ექვსი პრაქტიკული ნამუშევრით, რომელთა შეფასება სწავლების პერიოდში უკვე განხორციელდა.

<u>ორიგინალური (ახალი) პრაქტიკული პროექტის არჩევითი ფორმატებია:</u>

- სიღრმისეული სტატია - 2000-3000 სიტყვა/10-12 წყარო დოკუმენტების ჩათვლით სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ფარგლებში შერჩეულ მიმდინარე/აქტუალურ, მწვავე თემაზე;
- ფოტო ისტორია - (20-35 ფოტო) მცირე ტექსტებით (ანოტაციებით) სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ფარგლებში შერჩეულ აქტუალურ თემაზე;
- მულტიმედია ამბავი - ფოტოს (არანაკლებ 10), ტექსტის (1000 სიტყვა) და ვიდეოს კომბინაცია (2-3 მოკლე ვიდეო ისტორია) სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ფარგლებში შერჩეულ მიმდინარე/აქტუალურ, მწვავე თემაზე;
- სიღრმისეული ვიდეო რეპორტაჟი - 7-10 წუთიანი რეპორტაჟი სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ფარგლებში შერჩეულ მიმდინარე/აქტუალურ, მწვავე თემაზე;
- მოკლე დოკუმენტური ფილმი - 15-30 წთ. გამორჩეული შემოქმედებითი მიდგომით
- მოთხრობილი ვიზუალური ისტორია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ფარგლებში შერჩეულ აქტუალურ თემაზე;
- სიღრმისეული რადიო რეპორტაჟი - 7-10 წუთიანი რეპორტაჟი სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ფარგლებში შერჩეულ მიმდინარე/აქტუალურ, მწვავე თემაზე;
- ჟურნალისტური სტარ-აპის ბიზნეს გეგმა (ფინანსური) სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ფარგლებში შერჩეულ აქტუალურ ბიზნეს იდეაზე.

სამაგისტრო ნაშრომის კონცეპტუალური განაცხადის/პროსპექტუსის სტრუქტურა:

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეპტუალური განაცხადის პროსპექტუსის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- სატიტულო გვერდი (თანმიმდევრულად და ცენტრირებულად უნდა მიეთითოს: უნივერსიტეტის დასახელება, სკოლის დასახელება, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, უნივერსიტეტის ლოგო, სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის სათაური, ავტორის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელის სახელი და გვარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის შესრულების წელი და ქალაქი; უნივერსიტეტის დასახელება და სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის სათაური უნდა შესრულდეს - შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა -14, სატიტულო გვერდზე სხვა ჩანაწერები უნდა შესრულდეს შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა - 12; უნივერსიტეტის დასახელება, სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის სათაური, ავტორის სახელი და გვარი, წელი და ქალაქი უნდა მიეთითოს გამუქებულად; სატიტულო გვერდზე სხვა ჩანაწერები უნდა მიეთითოს გამუქების გარეშე);
- საავტორო უფლების გვერდი;
- კვლევის მნიშვნელობის დასაბუთება;
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- კვლევის შეკითხვა/მიზანი;
- კვლევის გეგმა;
- კვლევის ტექნიკური აღწერა;
- ნაშრომის გრაფიკი;
- წინასწარი ბიბლიოგრაფია.

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეპტუალური განაცხადის სტრუქტურა:

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეპტუალური განაცხადის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- სატიტულო გვერდი (თანმიმდევრულად და ცენტრირებულად უნდა მიეთითოს: უნივერსიტეტის დასახელება, სკოლის დასახელება, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, უნივერსიტეტის ლოგო, სამაგისტრო ნაშრომის სათაური, ავტორის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელის სახელი და გვარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იმ კვალიფიკაციის დასახელება საფეხურის მითითებით, რომლის მოსაპოვებლადაც შესრულებულია სამაგისტრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წელი და ქალაქი; უნივერსიტეტის დასახელება და სამაგისტრო ნაშრომის სათაური უნდა მიეთითოს - შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა - 14, სატიტულო გვერდზე სხვა ჩანაწერები უნდა მიეთითოს შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა - 12; უნივერსიტეტის დასახელება, სამაგისტრო ნაშრომის სათაური, ავტორის სახელი და გვარი, წელი და ქალაქი უნდა მიეთითოს გამუქებულად; სატიტულო გვერდზე სხვა ჩანაწერები უნდა მიეთითოს გამუქების გარეშე);
- სტუდენტის განაცხადი - რომლის მიხედვითაც, სტუდენტი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ავტორის ინდივიდუალური კვლევის შედეგს და მასში დაცული არის კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტები;
- რეზიუმე/აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- აბრევიატურების ნუსხვა (საჭიროების შემთხვევაში);
- ტერმინთა განმარტება (საჭიროების შემთხვევაში);
- შესავალი (კვლევის აქტუალურობა, სიახლე და საჭიროება);
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- კვლევის შეკითხვა/მიზანი;
- კვლევის ტექნიკური აღწერა და კვლევის შეზღუდვები;
- კვლევის შედეგების აღწერა;
- კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია;
- დასკვნა;
- ბიბლიოგრაფია;
- დანართები.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება: სამაგისტრო ნაშრომს ფასდება ერთჯერადად, რეცენზენტისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ 100 ქულიანი შეფასების საფუძველზე. ხვედრითი წონები გადანაწილებულია შემდეგნაირად: რეცენზენტის შეფასება - 70%, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასება - 30% (კომისიის შეფასება გამოანგარიშდება საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე).

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების

კრიტერიუმები და ფორმა (100 ქულა)

შეფასების კრიტერიუმი	რუბრიკა	ქულა
	კონცეპტუალური განაცხადი (40ქულა)	
ფოკუსი (5ქულა) ნაშრომის ყველა ნაწილი კავშირშია კვლევის შეკითხვასთან	5 ქულა- ნაშრომის ფოკუსი და სტრუქტურა ზუსტად არის ჩაშლილი, დაცულია ფორმატი; აზრი გამართულად არის გადმოცემული; 4 ქულა - ნაშრომის ფოკუსი და სტრუქტურა უმეტესად მკაფიოდ და ზუსტად არის ჩაშლილი, დაცულია ფორმატი; აზრი უმეტესად გამართულად არის გადმოცემული; 3 ქულა - ნაშრომის ფოკუსის და სტრუქტურის ნაწილი მკაფიოდ და ზუსტად არის ჩაშლილი, თუმცა აკლია კონკრეტული კომპონენტები; დაცულია ფორმატი; დამაკმაყოფილებლად შესრულებულ ნაწილში აზრი უმეტესად გამართულად არის გადმოცემული; 2 ქულა - ნაშრომის ფოკუსი და სტრუქტურა მეტნაკლებად მკაფიოდ და ზუსტად არის ჩაშლილი, თუმცა აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები; ფორმატი ნაწილობრივ დარღვეულია; აზრი ფრაგმენტულად არის გადმოცემული; 1 ქულა - ნაშრომის ფოკუსსა და სტრუქტურას აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები, ფორმატი ნაწილობრივ დარღვეულია; აზრი ფრაგმენტული და ბუნდოვანია, არ არის მოთხოვნის ადეკვატური.	5
კვლევა (5 ქულა) მეთოდოლოგია; შესრულების ხარისხი	5 ქულა – გამოყენებული მეთოდოლოგია შეესაბამება კვლევის ამოცანას; კვლევა მოთხოვნების შესაბამისად არის სტრუქტურირებული; შედეგების ანალიზი სრულყოფილია; დოკუმენტის ფორმატირება, ბიბლიოგრაფიისა და ციტირების სტილი არ შეიცავს შეცდომებს 4 ქულა – გამოყენებული მეთოდოლოგია შეესაბამება კვლევის სტილი შეიცავს უმნიშვნელო შეცდომებს 3 ქულა - გამოყენებული მეთოდოლოგია მეტწილად შეესაბამება კვლევის ამოცანას; კვლევა ძირითადად მოთხოვნების შესაბამისად არის სტრუქტურირებული; შედეგების ანალიზი მეტ-ნაკლებად ადეკვატურია მცირე შეცდომებით; დოკუმენტის ფორმატირება, ბიბლიოგრაფიისა და ციტირების სტილი შეიცავს შეცდომებს; 2 ქულა - გამოყენებული მეთოდოლოგია არ შეესაბამება კვლევის ამოცანას; კვლევა ძირითადად არ არის მოთხოვნების შესაბამისად სტრუქტურირებული; შედეგების ანალიზი არ არის ადეკვატური; დოკუმენტის ფორმატირება, ბიბლიოგრაფიისა და ციტირების სტილი შეიცავს არაერთ შეცდომას; 1 ქულა - გამოყენებული მეთოდოლოგია არ შეესაბამება კვლევის ამოცანას; კვლევა არ არის მოთხოვნების შესაბამისად სტრუქტურირებული; შედეგების ანალიზი არ არის ადეკვატური; დოკუმენტის ფორმატირება, ბიბლიოგრაფიისა და ციტირების სტილი შეიცავს მრავლობით შეცდომებს.	5
ლიტერატურა (10 ქულა) გამოყენებული ლიტერატურის რელევანტურობა; კრიტიკული ანალიზი	10 - 9 ქულა - ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა აკადემიურია და შეესაბამება საკვლევ თემატიკას; სტუდენტი იყენებს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; ჩანს კვლევა, კრიტიკული ანალიზი და შეფასება; 8 - 7 ქულა - ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა აკადემიურია და უმეტესად შეესაბამება საკვლევ თემატიკას; სტუდენტი უმეტესად ავლენს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; მეტწილად ჩანს კვლევის კრიტიკული ანალიზი და შეფასება; 6 – 5 ქულა - ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა აკადემიურია და დამაკმაყოფილებელია მისი შესაბამისობა საკვლევ თემატიკასთან; სტუდენტი ნაწილობრივ ავლენს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; ნაწილობრივ ჩანს კვლევის კრიტიკული ანალიზი და შეფასება;	10

	4 – 3 ქულა - ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა აკადემიურია და ნაკლებად შეესაბამება საკვლევ თემატიკას; სტუდენტი ავლენს პროგრამის მიღებული თეორიული ცოდნის საშუალო დონეზე ფლობას; ნაკლებად ჩანს კვლევის კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი; 2-1 ქულა - ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა არა აკადემიურია და უმეტესად არ შეესაბამება საკვლევ თემატიკას; სტუდენტი არ ავლენს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; არ ჩანს კვლევის კრიტიკული ანალიზი და შეფასება.	
არგუმენტაცია (10 ქულა) არგუმენტაციის უნარი;	10-9 ქულა - კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები სრულ თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან; 8-7 ქულა - კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები უმეტესად თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან; 6-5 ქულა - კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები ნაწილობრივ თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან; 4-3 ქულა - კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები არ არის სრულად ჩამოყალიბებული და ნაკლებ თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან; 2-1 ქულა - კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები არ არის თანხვედრაში დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან.	10
ინფორმაციის , მონაცემების პრეზენტაცია (5 ქულა) სტრუქტურა, თანმიმდევრულობა და აზრის, ინფორმაციის გადმოცემის უნარი	5 ქულა – ნაშრომის ენა არის დაბალანსებული და აკადემიურად; გამართული. სტრუქტურა გამართულია და შეესაბამება აკადემიური ნაშრომის სტანდარტებს; 4 ქულა– ნაშრომის ენა ძირითადად დაბალანსებულია და აკადემიურად; გამართული. სტრუქტურა გამართულია და შეესაბამება აკადემიური ნაშრომის სტანდარტებს; 3 ქულა – ნაშრომის ენას აკლია დაბალანსება და აკადემიურად გაუმართავია. სტრუქტურა არ არის დაცული; 2-1 ქულა – ნაშრომს აკლია კომპონენტები; ენა არა აკადემიურია და გაუმართავი; სტრუქტურა გაუმართავი.	5
ზეპირი პრეზენტაცია (5ქულა) [2]ზეპირი სახით ინფორმაციის გადმოცემის უნარი	5 ქულა - ინფორმაცია სრულყოფილად არის მოძიებული და პრეზენტაცია ფარავს მთელ მასალას; დისკუსიისას სტუდენტს მოჰყავს არგუმენტირებული დასკვნები და ავლენს იმპროვიზაციის უნარს; 4 ქულა- ინფორმაცია კარგად არის გამოკვლეული და პრეზენტაცია ფარავს მასალის ძირითად ნაწილს; დისკუსიისას სტუდენტს მოჰყავს არგუმენტირებული დასკვნები და უმეტეს შემთხვევაში ავლენს იმპროვიზაციის უნარს; 3 ქულა - ინფორმაციის ნაწილია მოძიებულ-მომზადებული და პრეზენტაცია ფარავს მასალის გარკვეულ ნაწილს; დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს აკლია დამაჯერებლობა; უმეტეს შემთხვევაში სტუდენტი ავლენს იმპროვიზაციის უნარს; 2 ქულა - ინფორმაცია არასრულადაა მოძიებული და პრეზენტაციას აკლია შინაარსობრივი კომპონენტები, რის გამოც რთულია მიგნებების არსის გაგება; დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს აკლია დამაჯერებლობა/არ ეყრდნობა რელევანტურ მონაცემებს; სტუდენტი მეტნაკლებად ავლენს იმპროვიზაციის უნარს; 1 ქულა- ინფორმაცია არასრულია და პრეზენტაცია ვერ ახერხებს ნაშრომის კომპონენტების გადმოცემას; დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტები სუსტი და არადამაჯერებელია/ არ ეყრდნობა რელევანტურ მონაცემებს; სტუდენტს არ გააჩნია იმპროვიზაციის უნარი.	5

[2] სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული კომპონენტის რეცენზენტის მხრიდან შეფასების შემთხვევაში ზეპირი პრეზენტაციის ხვედრითი წილი (5%) თანაბრად გადანაწილდება შეფასების დანარჩენ კრიტერიუმებზე.

პრაქტიკული კომპონენტი (60 ქულა)		
პორტფოლიო (15 ქულა)	15 - 12 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ვებ პლათფორმას აქვს ორიგინალური კონცეფცია. გამოირჩევა თავისი მიგნებებითა და ხედვით. გამართული დიზაინით. შინაარსობრივად, ვიზუალურად; და პროგრამულად აბსოლუტურად გამართულია. შედგება არანკალებ 6 კომპონენტისაგან (ნამუშევრისგან). ეფექტურად არის წარდგენილი ავტორის შესახებ ინფორმაცია; 11 - 8 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ვებ პლათფორმას აქვს გარკვეული კონცეფცია, თუმცა არ გამოირჩევა განსაკუთრებული ორიგინალობით. შინაარსობრივად გამართულია, თუმცა არის პროგრამული ხარვეზები. ვიზუალური კონცეფცია არ არის კარგად გააზრებული. შედგება არანაკლებ 6 კომპონენტისაგან (ნამუშევრისგან). გვერდი შეიცავს ავტორის წარდგენას, თუმცა შემოიფარგლება სტანდარტული ბიოგრაფიით და არ იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას, თუმცა იძლევა დეტალურ ინფორმაციას; 7 - 4 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ვებ პლათფორმა მოიცავს ყველა აუცილებელ ნამუშევარს, თუმცა მათ შორის არ არსებობს შინაარსობრივი და ვიზუალური ლოგიკა (ცალკეულ კომპონენტებს შორის კავშირები არ არსებობს). მასალების ლიდები არასრულყოფილია, ისევე როგორც ავტორის წარდგენა (საჭიროებს დამატებით ინფორმაციას). მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, ხუთივე აუცილებელი კომპონენტი წარმოდგენილია ვებზე, თუმცა არის პროგრამული ხარვეზებიც; 3 - 1 ქულა: სტუდენტს მხოლოდ ცალკეული ნამუშევრები აქვს წარმოდგენილი სხვადასხვა პლათფორმაზე, ისიც არასრული სახით და არ აქვს შექმნილი არანაირი ვებ სივრცე /პლათფორმა.	15
ახალი პრაქტიკული პროექტი (40 ქულა)	40 – 32 ქულა - სიღრმისეული აქტუალური რეპორტაჟი მწვავე საკითხზე, მკაფიოდ განსაზღვრული ფოკუსით, წარმოაჩენს უნიკალურ ისტორიას, გადამოწმებული ფაქტებითა და მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, სინტაქსურად და მორფოლოგურად გამართული ტექსტი, ჟურნალისტური ეთიკისა და ბალანსის დაცვით. ტექნიკურად სრულყოფილადა არის წარმოდგენილი ვიდეო და აუდიო. 2000-3000 სიტყვა (სტატიის შემთხვევაში); 7-10 წუთი ვიდეო/აუდიოს შემთხვევაში; 20-30 ფოტო ანოტაციებით (ფოტო პროექტის შემთხვევაში). სტუდენტმა წარმოადგინა სტარტაპის გამართული ბიზნეს გეგმა. ბიზნეს გეგმის ყველა კომპონენტი საფუძვლიანად არის განხილული, გაანალიზებული და დასაბუთებული. იდეა ინოვაციურია. სტუდენტი წარმოადგენს ჯეროვან წყაროებს საკუთარი გადაწყვეტილებების დასასაბუთებლად. ნაშრომის სტრუქტურა გამართულია; 31 - 24 ქულა - სიღრმისეული აქტუალური რეპორტაჟი მწვავე საკითხზე, მკაფიოდ განსაზღვრული ფოკუსით, გადამოწმებული ფაქტებით, რამდენიმე წყაროზე დაყრდნობით. ტექსტში არის მცირე რაოდენობით გრამატიკული შეცდომები. ჟურნალისტური ეთიკის ნორმები და ბალანსი დაცულია. ვიდეო და აუდიოს შემთხვევაში არის მცირედი ტექნიკური ხარვეზები. მასალა აკმაყოფილებს პროფესიულ სტანდარტებს, თუმცა არ გამოირჩევა უნიკალურობითა და ორიგინალური კუთხით.2000-3000 სიტყვა (სტატიის შემთხვევაში); 7-10 წუთი ვიდეო/აუდიოს შემთხვევაში; 20-30 ფოტო ანოტაციებით (ფოტო პროექტის შემთხვევაში).სტუდენტმა წარმოადგინა სტარტაპის გამართული ბიზნეს გეგმა. ბიზნეს გეგმის თითქმის ყველა კომპონენტი კარგად არის განხილული, გაანალიზებული და დასაბუთებული. იდეა საინტერესოა, თუმცა არა ინოვაციური. სტუდენტი წარმოადგენს ჯეროვან წყაროებს საკუთარი გადაწყვეტილებების უმეტესობის დასასაბუთებლად. ნაშრომის სტრუქტურა გამართულია; 23 – 16 ქულა - სიღრმისეული აქტუალური რეპორტაჟი მწვავე საკითხზე, თუმცა ფოკუსი მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. არასაკმარისი სანდო წყაროების გამოყენება. ტექსტში არის გრამატიკული შეცდომები. ჟურნალისტური ეთიკის ნორმები დაცულია. არის მასალის დაბალანსების პრობლემა, აკლია მეორე მხარის პერსპექტივა. ვიდეო და აუდიოს შემთხვევაში არის ტექნიკური ხარვეზები. მასალა არ გამოირჩევა უნიკალური ისტორიითა და გაშუქების ორიგინალური კუთხით.2000-3000 სიტყვა (სტატიის შემთხვევაში); 7-10 წუთი ვიდეო/აუდიოს შემთხვევაში; 20-30 ფოტო ანოტაციებით (ფოტო პროექტის შემთხვევაში).სტუდენტის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს გეგმა	40

	მისაღებია, მაგრამ აკლია გარკვეული კომპონენტები, ანალიზი და ლოგიკური ბმები. სტუდენტი წარმოადგენს წყაროებს საკუთარი გადაწყვეტილებების მხოლოდ მცირე ნაწილის დასასაბუთებლად. ნაშრომის სტრუქტურა სუსტია; 15 - 8 ქულა - რეპორტაჟს აკლია სიღრმე და აქტუალობა, მოითხოვს ფოკუსის დავიწროებას. ეყრდნობა რამდენიმე წყაროს, თუმცა რეპორტაჟში წარმოდგენილი წყაროები და მტკიცებულებები არ არის საკმარისი. ტექსტში არის გრამატიკული შეცდომები. ჟურნალისტური ეთიკის ნორმები მეტნაკლებად დაცულია. არის მასალის დაბალანსების პრობლემა, აკლია მეორე მხარის პერსპექტივა. ვიდეო და აუდიოს შემთხვევაში არის სერიოზული ტექნიკური ხარვეზები. მასალა არ გამოირჩევა უნიკალური ისტორიითა და გაშუქების ორიგინალური კუთხით. 2000-3000 სიტყვა (სტატიის შემთხვევაში); 7-10 წუთი ვიდეო/აუდიოს შემთხვევაში; 20-30 ფოტო ანოტაციებით (ფოტო პროექტის შემთხვევაში). სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ბიზნეს გეგმას აკლია მთავარი კომპონენტები და მონაცემები. წყაროები არასაკმარისია ან არაადეკვატური. ნაშრომის სტრუქტურა ან არ იკვეთება ან ძალიან სუსტია; 7 – 1 ქულა - რეპორტაჟში არის ფაქტობრივი შეცდომები, არის ზედაპირული, გაურკვეველია მისი ფოკუსი, წყაროების სანდოობა დადასტურებული არ არის. მასალა არის მიკერძოებული, დაუბალანსებელი. ვიდეო და აუდიო არ შეესაბამება სტანდარტს. ტექსტი არის გაუმართავი, ბევრი გრამატიკული შეცდომით. სიტყვების რაოდენობა - ვერ აღწევს 1000 (სტატიის შემთხვევაში); ვიდეო/აუდიოს ხანგრძლივობა (ფოტოების რაოდენობა) ასევე არ შეესაბამება მოთხოვნას (3 წუთზე ნაკლები). პროექტი წარმოდგენილია დედლაინის დარღვევით. სტუდენტი ვერ ახერხებს მისაღები ბიზნეს გეგმის წარმოდგენას. ნაშრომს აკლია მთავარი კომპონენტები, მონაცემები, ანალიზი, დისკუსია, დასაბუთება და ლოგიკური ბმა. წყაროები არასაკმარისია ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი.	
ზეპირი პრეზენტაცია (5 ქულა)	5 ქულა - პრეზენტაცია გამართულია როგორც ვერბალურად, ასევე ვიზუალურად. მასალა კარგად არის მომზადებული და პრეზენტაცია ფარავს როგორც მთლიანი პორტფოლიოს, ასევე ძირითადი კომპონენტის არსს. ნათლად წარმოაჩენს მთავარ მიგნებებს; 4 ქულა – პრეზენტაცია გამართულია ვიზუალურად, თუმცა არის მცირე ხარვეზები ვერბალურ პრეზენტაციაში. მასალა კარგად არის მომზადებული და პრეზენტაცია ფარავს როგორც მთლიანი პორტფოლიოს, ასევე ძირითადი კომპონენტის არსს. ნათლად წარმოაჩენს მთავარ მიგნებებს; 3 ქულა – პრეზენტაციას აქვს ვიზუალური ხარვეზები, ასევე სტუდენტს უჭირს მთავარი სათქმელის გამოხატვა შეკითხვების გარეშე. პრეზენტაცია ფარავს პორთფოლიოს გარკვეულ ნაწილს; 2 ქულა - მასალა არასრულია და პრეზენტაცია ვერ ახერხებს პორთფოლიოს კონცეფციის გადმოცემას; 1 ქულა - მასალა არაადეკვატურია და პრეზენტაცია ვერ ახერხებს პორტფოლიოს კონცეფციის გადმოცემას.	5
სულ		100